მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო"–ს

ო ქ მ ი №1

ქ.მარნეული 11/ნოემბერი/2021 წელი

სხდომას ხელმძღვანელობდა – საბჭოს თავმჯდომარე აჯდარ მამიშოვი;
სხდომის მდივანი: - ემილია ჰასანოვა;
საბჭოს წევრები:
ოლგა ენდელაძე
ლია კონცელიძე
ტოფიკ აკბეროვი
ამაიკ საიადიანი

ესწრებოდნენ:
მუნიციპალიტეტის მერიის ადმინიატრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო დეკანოიძე;
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვუგარ მამედოვი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს

მოისმინეს: საბჭოს სხდომა გახსნა და ახალი საბჭოს შემადგენლობა წარადგინა ქალბატონმა ნინო დეკანოიძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ განუმარტა საბჭოს წევრებს მათი უფლებამოსილებები, საჭიროება და ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მოსახლეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის თვითმართველობასთან, რათა ზუსტად იქნეს მიწოდებული და ასახული ყველა ის პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც ესაჭიროება მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

- ბატონმა ვუგარ მამედოვმა სხდომაზე წარმოადგინა და დეტალურად განმარტა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, , რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 6 მილიონი ლარით არის გაზრდილი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებზე. მან ასევე დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც როგორც წინა წლებში, დაგეგმილია მნიშვნელოვანი საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია, ხიდების და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცილება. ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბიუჯეტში სოცილაური ფონდის ოდენობა, რათა განსაკუთრებული ზრუნველობა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ და ასევე დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობაზე. მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაა დაგეგმილი სოციალური და ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის ძირეული ცვლილებები იქნება შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტის პროექტის საერთო მოცულობა შეადგენს 36 539,8 მილიონ ლარს.

აზრი გამოთქვა: ოლგა ენდელაძემ, აჯდარ ჭაბიმოვმა, ემილია ჰასანოვამ, მათ ყურადრება გაამახვილეს ბიუჯეტის სოციალური და ახალგაზრდული მამრთულებით არსებული ფინანსური სახსრების ოდენობებზე, მათ შორის იგეგმება თუ არა სერვისის გაუმჯობესება, რასთან დაკავშირებითაც ნინო დეკანოიძემ მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხების გადაჭრის გეგმების დამუშავების თაობაზე.

ლია კონცელიძემ - მიმაჩნია რომ ადგილობირივ ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისას მეტი ყურადრება უნდა გამახვილდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმეების/მეწარმეობს განვითარების ხელშეწყობაზე, გზების, პარკირებისა და ინფრასტრუქტურის აღმშენებლობის პრობლემების მოგვარებაზე ქალაქ მარნეულში.

საბჭოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ დაფიქსირებულა და მოწონებულია ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია.

სხდომის თავმჯდომარე: ა. მამიშოვი

მდივანი; ემილია ჰასანოვა

წევრები: ლ.კონცელიძე

ოლგა ენდელაძე

ტოფიკ აკბეროვი

ამაიაკ საიადიანი